საქართველო: შიდაპოლიტიკური ქრონიკა

2017 წლის მაისი

1 მაისი - ოპოზიციური პარტიების ნაწილმა კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების წინააღმდეგ კამპანია „დაიცავი საქართველოს კონსტიტუცია“ დაიწყო და სპეციალური დეკლარაცია შეიმუშავა, რომელსაც ხელს 30-მდე პარტიამ მოაწერა.

1 მაისი - საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის ინიცირება მოხდა.

5 მაისი - შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე საყოველთაო სახალხო განხილვა ქუთაისიდან დაიწყო.

15 მაისი - თბილისში დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ჩაიშალა.

16 მაისი - თბილისის განხილვის ჩაშლიდან მეორე დღეს, პრეს-კონფერენციაზე საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე საყოველთაო სახალხო განხილვები მაისის ბოლომდე გაგრძელდება.

17 მაისი - ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნის პარალელურად ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილი მსვლელობა გაიმართა.

22 მაისი - ორი არასაპარლამენტო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის - რესპუბლიკური პარტიის და თავისუფალი დემოკრატების - ლიდერებმა დაადასტურეს, რომ პარტიები ერთობლივი ძალებით გეგმავენ 2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას

27 მაისი - პარტია მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპულმა საქართველომ სპორტის სასახლეში დამფუძნებელი ყრილობა გამართა, სადაც გენერალურ მდივნად გიგი უგულავა აირჩიეს.

2017 წლის ივნისი

7 ივნისი - არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა საქართველოს პარლამენტს მიმართეს თხოვნით, რომ კონსტიტუციის პროექტზე საპარლამენტო განხილვები გადადოს.

10 ივნისი - ათასობით მოქალაქე გამოვიდა თბილისის და ბათუმის ქუჩებში, რათა პროტესტი გამოეხატათ რეპჯგუფის „ბირჟა მაფიას“ წევრების დაკავებისა და მთავრობის „რეპრესიული“ ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ.

16 ივნისი - დავით უსუფაშვილმა ახალი პოლიტიკური მოძრაობის შესახებ განცხადება გაავრცელა.

20 ივნისი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არ დააკმაყოფილა პარლამენტის თხოვნა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის მიზნით რიგგარეშე სხდომის დანიშვნის თაობაზე და ამის მიზეზად უკეთესი დოკუმენტის მოსამზადებლად განხილვების გაგრძელების საჭიროება დაასახელა.

22 ივნისი - საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შესახებ" კანონის პროექტი პირველი მოსმენით, 115 ხმით ერთხმად მიიღო.

26 ივნისი - ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მოადგილე და გადაცემა „კურიერის“ წამყვანი, ზაალ უდუმაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი იქნება.

27 ივნისი - პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ადგილობრივი არჩევნები 2017 წლის ოქტომბრის მესამე კვირის ბოლოს გაიმართება.

27 ივნისი - 32-მა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, საერთაშორისო თანამეგობრობის სახელზე გაავრცელა მიმართვა, რომელშიც პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღების 2024 წლამდე გადადების შესახებ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

30 ივნისი - საქართველოს პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, მესამე მოსმენით, მხარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც საარჩევნო კოდექსსა და მასთან დაკავშირებულ ოთხ კანონს ეხება.

30 ივნისი - საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით, მხარი დაუჭირა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატან ცვლილებებს და 12 თვითმმართველი ქალაქიდან შვიდს საბოლოოდ ჩამოართვა დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

საქართველო: საგარეოპოლიტიკური ქრონიკა

2017 წლის მაისი

2 მაისი - სამხრეთ ოსეთის ახალი ლიდერი ანატოლი ბიბილოვი სეპარატისტულ რეგიონში გამართული საპრეზიდენტო არჩევნებიდან სამ კვირაში, სოჭში რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

2 მაისი - ამერიკელმა კონგრესმენებმა საქართველოს მიმართ ორპარტიული მხარდაჭერა გამოხატეს. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 30 წევრისგან შემდგარმა ორპარტიულმა ჯგუფმა აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტ დონალდ ტრამპს წერილი გაუგზავნა.

4 მაისი - აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 2017 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტის პროექტი კრძალავს ქვეყნის მიერ იმ სახელმწიფოების დახმარებას, რომლებმაც სეპარატისტული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარეს.

6 მაისი - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 3 მაისს მიღებული გადაწყვეტილების გამო თბილისი გააკრიტიკა

8 მაისი - საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერ-

თებულ შტატებში იმყოფებოდა, პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდა

9 მაისი - ქართველმა მესაზღვრეებმა კრემლის მხარდამჭერ ბაიკერთა ჯგუფი „ღამის მგლები“, რომელიც თბილისში 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის დასრულების 72-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე დასწრებას გეგმავდა, საქართველოში არ შემოუშვეს.

13 მაისი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გახარიამ და ჩინეთის ვაჭრობის მინისტრმა ჟონგ შანმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

13 მაისი - ევროპის სახალხო პარტიამ საქართველოში ფაქტების დამდგენი მისიის შეჯამებისას განაცხადა, რომ ის საკონსტიტუციო რეფორმის გეგმების გამო „შეშფოთებულია“.

17 მაისი - აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გამოუგზავნა.

18 მაისი - ქართველმა პოლიტიკოსებმა მწვავედ გააკრიტიკეს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ჰერბერტ ზალბერის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც ცხინვალის ახალ ლიდერს ანატოლი ბიბილოვს 9 აპრილს სეპარატისტულ რეგიონში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

22 მაისი - აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრი ზაკირ ჰასანოვი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით თბილისს სტუმრობდა, ქართველ კოლეგას ლევან იზორიას შეხვდა.

24 მაისი - თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბინალი ილდიმირი, შვიდი მინისტრის თანხლებით, საქართველოს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა, რომლის ფარგლებშიც საქართველო-თურქეთის მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს მე-2 სხდომას დაესწრო.

25 მაისი - თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და თურქეთის მოქალაქეს მუსტაფა

ემრე ჩაბუქს, რომელიც თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ერთ-ერთი მმართველია, სამთვიანი საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა.

29 მაისი - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ, რის შემდეგაც საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის შესახებ დეკლარაციას მოეწერა ხელი.

29 მაისი - აფგან მუხთარლი, რომლის მეუღლემაც მისი გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია 29 მაისს საღამოს გაავრცელა, აზერბაიჯანის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის საგამოძიებო სამსახურის პატიმრობაში იმყოფება.

2017 წლის ივნისი

1 ივნისი - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია მიიღო, რომელიც კიდევ ერთხელ აღიარებს ყველა დევნილის და ლტოლვილის უფლებას დაბრუნდნენ სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

13 ივნისი - პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალური ვიზიტით ყაზახეთს ესტუმრა და თავის კოლეგას ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა.

20 ივნისი - ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მე-40 რაუნდი 20-21 ივნისს გაიმართა.

29 ივნისი - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ, გაზეთ „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გრიგორი კარასინმა, ნატოს და ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ საქართველოს პოლიტიკა გააკრიტიკა.

29 ივნისი - ბრიუსელში, ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე გამოსვლისას, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ, განაცხადა, რომ ქართველი სამხედროები ავღანეთში ნატოს მისიაში მონაწილეობას განაგრძობენ და მათი რაოდენობა უცვლელი დარჩება.